საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8408
30/12/2022

8408-21-2-202212301530

შპს „რივერსტოუნის“ დორექტორს
ბატონ იური გრაუდუმნიეკს
მის: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფელი ლესიჭინე;
დაბა ჩხოროწყუ, გობეჩიას ქუჩა #7;
ელ.ფოსტა: contact@riverstone.ge;
ntact@riversstone.ge

ბატონო იური,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 19 დეკემბრის N7459 განცხადება, რომელიც ეხება სასარგებლო წიაღისეულის (ინერტული მასალების) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშის დანართში 4 („სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება“) მითითებულია, რომ დაგეგმილ საქმიანობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 13 ოქტომბრის N403/ს ბრძანებით გაცემულია N61 სკოპინგის დასკვნა. გაცნობებთ, რომ დაბა ჩხოროწყუში, შპს ,,რივერსტოუნის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 14 ნოემბრის N461/ს ბრძანებით გაცემულია N65 სკოპინგის დასკვნა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას;
- გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-2 მუხლის 2.3 პუნქტის თანახმად, საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. შესაბამისად, საწარმომ გაიარა სკრინინგის პროცედურა და სკრინინგის გადაწყვეტილების თანახმად (ბრძანება N2-332, 29/04/2022 წ) დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.“ გაცნობებთ, რომ კოდექსის II დანართის 2.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა წარმოადგენს სასარგებლო წიაღისეულის ზღვიდან მოპოვებას, ხოლო N2-332 სკრინინგის გადაწყვეტილება გაცემულია კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის **5.1. (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება**) ქვეპუნქტის საფუძველზე.

შესაბამისად, დოკუმენტაციაში მითითებული უნდა იყოს განცხადების წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველი, რაც საჭიროებს კორექტირებას;

- გზშ-ის ანგარიშში, თავში 4.12. (ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე) აღნიშნულია, რომ სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება დღის საათებში (დილის 7 სთ-დან საღამოს 23 სთ-მდე). დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილება (ტექნიკური რეგლამენტი - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“), რომლის მიხედვით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის. დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელების გრაფიკი;
- N65 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ, რაოდენობის მითითებით, თუმცა დოკუმენტაციაში არ არის მითითებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ ცხრილში 8.2 (ნახაზი 8.2. ნარჩენების აღდგენის და განთავსების ოპერაციების კოდები) მოცემული ობიექტზე მოსალოდნელი ნარჩენები, კოდით - 15 02 02* (აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანისამოსი, რომელიც დაბინძურებულია საშიში ქიმიური ნივთიერებებით) განსაზღვრულია როგორც არასახიფათო, ხოლო შავი და ფერადი ლითონები (16 01 17; 16 01 18) სახიფათოდ. აღნიშნული საჭიროებს კორექტირებას და „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 8.1. მოცემულია საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა წლების მიხედვით, 2022, 2023 და 2024 წლების შესაბამისად. ვინაიდან, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით 2022 წელს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა შეუძლებელია, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს უშუალოდ სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის GPS კოორდინატები;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ინფორმაცია საწარმოს საპროექტო წარმადობის (სთ, დღე, წელი) შესახებ, თუმცა არ არის მითითებული საწარმოში გამოსაყენებელი დანადგარების ტექნიკური მახასიათებლები (ტიპი, წარმადობა), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე. ხოლო წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ძირითადად განხილულია საწარმოს ფუნქციონირებისას გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება. კერძოდ, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მოწყობის დროს წარმოქმნილი ნარჩენებისა და მათი მართვის შესახებ, მოწყობის დროს ხმაურის გავრცელებასა და მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებას და სხვა;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის შემოტანა დაგეგმილია მდ. ხობის სიახლოვეს არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან. გზშ-ის ანგარიშში

წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული კომპანიების შესახებ, მათი ადგილმდებარეობის მითითებით;

- N65 სკოპინგის დასკვნის თანახმად, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტები (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის სქემა (სურათი 4.12.1.), სადაც მითითებულია მხოლოდ მთავარი გზიდან საწარმომდე მისასვლელი მონაკვეთი. გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია უშუალოდ ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით);
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედების საკითხის განხილვისას (თავში 9, გვ. 104) აღნიშნულია, რომ „ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია საწარმოსთვის საჭირო ინფრასტრუქტურა და დამატებით სამუშაოები გათვალისწინებული არ არის.“ ხოლო ქვეთავში 4.14 („ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადზე“, გვ. 68) მითითებულია, რომ „ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია მისასვლელი გზა, ხოლო ტერიტორიაზე საჭირო ინფრასტრუქტურა მოწყობილი იქნება შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შემდეგ.“ შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხი საჭიროებს დაზუსტებას, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებულია მოწყობის სამუშაოები, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო